MES 7 21 0000758360

30/07/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2021 წლის 15 ივლისს.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მარინა ქორიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

შოთა კეჟერაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

სოფო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

1. სერგო ტეფნაძე - უნივერსიტეტის რექტორი
2. დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

3. ნიკა თიკანაშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი
4. ბექა ბუიძე - პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი

სსიპ საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ჯემალ ძაგანია - რექტორი
2. ვლადიმერ ბოჟაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
3. მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. მარიამ მუქერია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

დევიდ კენედი (David Kennedy)
ირინე დარჩია
ია ნაცვლიშვილი
ეკატერინე ბაკარაძე
გიორგი მეშველიანი
გიორგი მაყაშვილი
დავით სიხარულიძე
ია მოსაშვილი
ნიკა ფარჯანაძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით ცენტრის მიერ წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა 28 ივნისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის N701551 ოქმში ცვლილების შესახებ, კერძოდ დაემატოს, რომ საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ, მმართმადიდებლური ეკლესიის, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიას საბჭოს ცხდომაზე წარმოადგენდნენ პრორექტორი, დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - გიორგი ნატროშვილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე დურმიშხან ლაშხი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შეცვლილი სხდომის დღის წესრიგი:

1. 28 ივნისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის N701551 ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. 28 ივნისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის N701551 ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ტექნიკური შესწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

1.შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება საკითხთან დაკავშირებით. თვითაცილება განაცხადა დავით ტეფნაძემ. სხდომის მდივნად კი განისაზღვრა ეკა ეკალაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და

შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი იყო მცირე უნივერსიტეტი, რომელიც წარმოდგენილი იყო სულ რამდენიმე ფაკულტეტით. უნივერსიტეტის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა სტუდენტების მომზადება საავიაციო ინდუსტრიაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მცირე აეროპორტი თელავში, სადგური თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და სპეციალური სადგური, აღჭურვილობა და ტერიტორიები პრაქტიკების გასავლელად. სტუდენტები ასევე გადიოდნენ სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ სპეციალურ ტრენინგ-კურსებს. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტი აძლევდა საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დაწესებულებას აქვს სპეციალური ტრენინგ-ცენტრები, რომლებიც, ერთი მხრივ, სპეციალიზაციის კუთხით იძლევიან სერთიფიკატებს საავიაციო სფეროში და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა სპეციალური სამეცნიერო ერთეული, რომელიც სწორედ ამ ინდუსტრიაში საერთაშორისო კვლევებზე იყო ორიენტირებული. უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა 2015 წელს, რის შემდეგაც მასში არსებულმა ფაკულტეტებმა ასევე მოიპოვეს აკრედიტაცია.
ავტორიზაციის ვიზიტის დიდი ნაწილი გაიმართა 17-19 მაისს zoom -ის პლატფორმის მეშვეობით, თუმცა ადგილობრივ ექსპერტებს ასევე ჰქონდათ მთავარი კამპუსისა და აეროპორტის სპეციალური ანგარის ფიზიკურად დათვალიერების შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების წარმომადგენლებს ყველანაირი მხარდაჭერისათვის ადგილზე ვიზიტამდე, ვიზიტის დროს და მის შემდეგაც - ყოველივე ეს აღმოჩნდა ძალიან გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი იყო საკმაოდ კონსტრუქციული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ასევე, ისაუბრა უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუცია მცირეა, მისი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი იყო საკმაოდ მოტივირებული. ინსტიტუციას ჰქონდა საკმაოდ კარგად განვითარებული ორგანიზაციული სტრუქტურა და ასევე ხარისხის მართვის მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იყო ძალიან კარგად განვითარებული და შედგენილი. მათ ჰქონდათ კონკრეტული ხელშესახები კავშირი ინდუსტრიასთან. პროგრამები იმგვარად იყო შედგენილი, რომ ხელს უწყობდა კურსდამთავრებულებს, შემდგომი საქმიანობა სწორედ აღნიშნული მიმართულებით გაეგრძელებინათ. უნივერსიტეტი სთავაზობდა სტუდენტებს კონკრეტულ ტრენინგ-ციკლს, რომელიც იმართებოდა თელავისა და თბილისის აეროპორტებში.
თვითშეფასების დოკუმენტისა და დაწესებულების წარმომადგენელბთან ინტერვიუების შედეგად პირველი ხუთი სტანდარტი განისაზღვრა როგორც სრულად შესაბამისი. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა რიგი რჩევები, რომელთა ნაწილი უკავშირდებოდა თვითკრიტიკულობის საჭიროებას, რომ უნივერსიტეტს გადაეხედა იმ პროცესებისთვის, რომლებსაც თავად ახორციელებდა და დაფიქრებულიყო მათი გაუმჯობესების გზებზე. აღსანიშნავია, ასევე, რომ სტუდენტთა საბჭო იყო საკმაოდ ძლიერი, თუმცა, ისინი იყვნენ ერთადერთი ჯგუფი, რომელიც ყველაფერში იყო ჩართული, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტთა როლის გაძლიერება. ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც ასევე არ იყო აკრედიტებული ახალი სტანდარტების შესაბამისად, აუცილებლად საჭიროებდა გამოსწორებას, რადგან აღმოჩენლი იქნა რამდენიმე ხარვეზი სასწავლო კურსების სილებუსებში.
რაც შეეხება მე-6 სტანდარტს, აღნიშნული განისაზღვრა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტთან. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამ კუთხით უნდა გაძლიერდეს კვლევის როლი,

ვინაიდან აღნიშნულ პროცესში საკმაოდ მცირე რაოდენობით პერსონალი იყო ჩართული. ასევე, უნდა გაიზარდოს როგორც თავად კვლევის ხარისხი, ისე მისი საერთაშორისო სტანდარტები.
მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა რჩევები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასთან მიმართებით, კერძოდ, აუცილებელია უსაფრთოხოებისთვის საჭირო კონკრეტული აღჭურვილობის უზრუნველყოფა, როგორც უნივერსიტეტის, ისე აეროპორტის ტერიტორიაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროცნულ ცენტრს ავტორიზაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და დარგის საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობისათვის. დაწესებულება ეთანხმება დასკვნის საბოლოო ვერსიაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.
საავიაციო ფაკულტეტის დეკანმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი იყო საკმაოდ ნაყოფიერი, შესაბამისად, დაწესებულებამ მიიღო ისეთი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც განვითარებაზეა ორიენტირებული. დაწესებულება გამოხატავს მზაობას რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მათგანი კი უკვე შესრულებულია დაწესებულების მიერ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ისინი, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის მისიის სრულყოფილ შესრულებასთან, რაც გულისხმობდა კვლევასა და მისი შედეგების გამოქვეყნებას. რა თქმა უნდა, დაწესებულების პერსონალი აქვეყნებდა კვლევებს და თავად დაწესებულებაც ჩართული იყო მოცემულ პროცესში პერსონალის ხელშეწყობის კუთხით, თუმცა რეკომენდაცია ცალსახად განვითარებაზეა ორიენტირებული და გასათვალისწინებელია. ასევე გასათვალისწინებელია რეკომენდაციაც საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ. შესაბამისად, დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაციები.
რაც შეეხება მე-3 და მე-4 რეკომენდაციებს, რომელიც შეეხებოდა უსაფრთხოების საკითხებს, დაწესებულების მიერ განხორციელდა უსაფრთხოების წესების ინგლისურ ენაზე მომზადება და მათი განთავსება თითოეულ ლაბორატორიაში. განისაზღვრა ასევე ძაბვის მაჩვენებლებიც.
მე-5 და მე-6 რეკომენდაცია უკავშირდებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ აღჭურვულობას. საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამუშაოები. შესაბამისად, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და მოახდენს ტექნიკური აღჭურვილობის გაზრდასა და დახვეწას.
დაწესებულება გამოთქვას მაქსიმალურ მზაობას რჩევების გათვალისწინების კუთხითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა საბჭოს წევრებს შეკითხვების დასმისკენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, დააზუსტა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გარკვეული წამახალისებელი ღონისძიებები აკადემიური პერსონალის კვლევებში ჩართულობის მიზნებისთვის.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ დასაქმების მაჩვენებელი უნივერსიტეტს საკამოდ მაღალი აქვს, განსაკუთრებით საბაკალავრო საფეხურზე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ახდენდა უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისთვის სასწავლო

პროცესის დაგეგმვას, რომლებიც ამავდროულად დასაქმებული იყვნენ, იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ დიდი დრო ეთმობოდა პრაქტიკულ ნაწილს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, აფილირებული პერსონალისთვის ინსტიტუციას ჰქონდა წახალისების მექანიზმები, რაც გულისხმობდა სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების ხარჯების უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას, ასევე სხვადასხვა კვლევით აქტივობებში მათ ჩართულობას და შიდა გრანტების დანიშვნას.
რაც შეეხება დასაქმების საკითხს, დაწესებულებას ჰქონდა აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა აეროპორტები, ავიაკომპანიები, საჰაერო ნავიგაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო და საავიაციო ქარხანა დელტა. პრაქტიკების დროს დაწესებულება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა სტუდენტებს, რადგან ისინი განსაზღვრული იყო მხოლოდ მე-8 სემესტრში. დაწესებულებას ჰქონდა პრეცედენტი, რომ სტუდენტები ორგანიზაციებმა აიყვანეს საწარმოო პრაქტიკაზე, რომლის დასრულების შემდგომაც მოხდა მათი დასაქმება. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა აკადემიური ნაწილის იმგვარ განაწილებას, რომ სტუდენტებს ჰქონოდათ მუშაობის შესაძლებლობაც.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ექსპერტების და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები გასაგები და ნათელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს საკმაოდ მოკლე ვადაში და საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა, რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:35 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:40 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის 6 წლის ვადით მინიჭების საკითხი, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობით - 1600
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.

3. სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა მე-7 სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს მოუწიათ როგორც დოკუმენტების განხილვა, ასევე ფიზიკური შეხვედრები და დაწესებულებაში ვიზიტი. ფართი, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტს, საჭიროებდა მონიტორინგს იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთ კორპუსში საერთოდ შეუძლებელი იყო მეცადინეობების ჩატარება და დანარჩენ ლოკაციებზეც იყო გარკვეული პრობლემები, კერძოდ ადმინისტრაციული კორპუსი, რომლის მხოლოდ ნაწილი იყო გამოყენებაში, პერსონალის ნაწილს შეეძლოს შესვლა და მუშაობა.
ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, კერძოდ:

1.რეკომენდებულია პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ზოგიერთი ფართის კეთილმოწყობა;
2.რეკომენდებულია დროულად ჩატარდეს ჭავჭავაძის გამზირი 29 -ში არსებული შენობა-ნაგებობის გამაგრებითი სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
3.რეკომენდებულია დაწესებულებამ ბიუჯეტში დროულად განსაზღვროს საკმარისი თანხები შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საუბარია მხოლოდ ზოგიერთი ფართის მოწყობაზე, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნდა პრაქტიკული მეცადინეობისთვის სპეციალური ფართი,

რომელიც რიგ შემთხვევებში გულისხმობდა მოედნებსა და სპორტისთვის აუცილებელ გარემოს. ზოგ შემთხვევაში ყველაფერი აღნიშნული იყო კარგ მდგომარეობაში, ხოლო, რიგ შემთხვევებში საჭიროებდა მეტ კეთილმოწყობას.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული წარმოადგენდა იმ ძირითად რეკომენდაციას, რის საფუძველზეც შედგა მონიტორინგის ვიზიტი. ვიზიტის მდგომარეობით, უნივერსიტეტს ჰქონდა ფართი, თუმცა დაწესებულება იყენებდა სოხუმის უნივერსიტეტში, არსებულ ფართს, კერძოდ ერთ სართულს, რომელიც გარემონტდა სახელმწიფოს მხარდაჭერით და სადაც ხორციელდებოდა ყველა სასწავლო პროცესი. ფართი საკმარისი იყო ვინაიდან სწავლება მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ფართის დაკავების შესაძლებლობა დაწესებულებას მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა, რა თქმა უნდა უნივერსიტეტს სჭირდებოდა თავისი საკუთარი, არსებული კორპუსის გამაგრება ან დემონტაჟის განხორციელება. შესაბამისად უნივერსიტეტი საჭიროებდა ამ მხრივ მხარდაჭერას, თუმცა დამოუკიდებლად თავისი ბიუჯეტიდან გამომდინარე, აღნიშნულის განხორციელება არ შეეძლო.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მე-3 რეკომენდაცია დაკავშირებულია პირველ რეკომენდაციასთან, შესაბამისად, დაწესებულებამ ბიუჯეტში დროულად უნდა განსაზღვროს საკმარისი თანხები შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჭავჭავაძეზე არსებული შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1954 წელს, ხოლო სარემონტო სამუშაოები ამ 67 წლის მანძილზე არ ჩატარებულა. 2007 წელს უნივერსიტეტი დაიხურა და ამ დახურვის შემდეგ შენობას არანაირი ყურადღება არ ექცეოდა და 2013 წლისთვის მასში არსებული ნაწილები მოიშალა. 2013 წელს მოხდა შენობის შესწავლა სამხარაულის ბიუროს მიერ და დაიდო დასკვნა რის შედეგადაც, სტუდენტების შენობაშ ყოფნა იყო შეუძლებელი, ამიტომაც 2019-2020 წლები დაწესებულების წარმომადგენლების იმყოფებოდნენ სეუ-ს უნივერსიტეტში, რომელმაც მათ დაუთმო ორი სართული, შემდგომ კი განათლების სამინისტრო დაწესებულებას დაუთმო სოხუმის უნივერსიტეტშ ერთი სართული. პანდემიის პირობებშ დაწესებულება იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ რეჟიმში, თუმცა აღსანიშნავია რომ პრაქტიკული სამუშაოებისთვის მას ჰქონდა საფეხბურთო სტატიონი, ოთხი ტენისის კორტი, ოთხი დარბაზი, სასროლო ტირი, კარატეს დარბაზი, ტრენაჟორების დარბაზი, მინი ფეხბურთის ორი მოედანი და საცუარაო აუზი, რომელსაც დაწესებულება ქირაობდა არენაზე. დაწესებულებამ გასულ წელს გაიარა ხელახალი ავტორიზაცია საერთაშორისო ექსპერტის თაოსნობით. მოცემული პრობლემა სასწავლო პრიცესს ხელს არ უშლიდა, ვინაიდან თეორიული სწავლება მიმდინარეობდა ძირითადად ონლაინ. დაწესებულება ამ კუთხით საჭიროებდა დახმარებას, ვინაიდან შეუძლებელი იყო პრობლემბის დამოუკიდებლად მოგვარება, განსაკუთრებით მაშინ , როდესაც ინსტიტუცია თანამედროვე კორპუსის მოსაწყობად საჭიროებდა 10 მილიონ ლარს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ დააზუსტა თუ რამდენად იყო შესაძლებელი იმ ინფრასტრუქტურის კომერციალიზაცია, რომელსაც დაწესებულება პრაქტიკული სამუშაოსთვის იყენებს.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით დაწესებულებას ჰყავდა 600 აქტიური სტუდენტი, შესაბამისად დაინტეერსდა საკმარისი იყო თუ არა არსებული ფართი სტუდენტების მოცემული რაოდენობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ დააზუსტა, თუ რამდენი იყო უნივერსიტეტში ყოველწლიური მიღება.
საბჭოს წევრმა, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ სოხუმის უნივერსიტეტთან დაწსებულებას დადებული ჰქონდა ერთ წლიანი ხელშეკრულება, შესაბამისად დააზუსრა არსებობდა თუ არა ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებსი მხრიდან რამდენჯერმე იქნა შეტანილი განაცხადი ადგილების დამატებასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტის ეტაპზე დაწსებულების ყოველწლიურ მიღებას წარმოადგენდა 800 სტუდენტი.
რაც შეეხება უნივერსიტეტის ბაზებს, 15:00 საათამდე აღნიშნული დატვირთული იყო სასწავლო აქტივობებით, ხოლო სამი საათის შემდგომ დაწესებულება მათ გასცემდა საათობრივი მომსახურეობის ფორმით. ყოველწლიურად დაწესებულებამ მოჰყავდა საათობრივი აუდიტი, რომელიც აფასებდა საათობრივი მომსახურეობის ხარჯებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულება დებდა ხელშეკრულებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რაც მისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და წლიურად ხდება 60 000-70 000 ლარი მობილიზება.
რაც შეეხება სოხუმის უნივერსიტეტთან არსებულ ხელშეკრულებას, დაწესებულებას ჰქონდა წინასწარი შეთანხმება ერთი სემესტრი დამატების შესახებ, თუმცა ავტორიზაციის პერიოდში მიმდინარეობდა სოხუმის უნივერსიტეტსი რექტორის არჩევნები, შესაბამისად თუ როგორ გადაწყდებოდა საკითხი დაწესებულებამ დაზუსტებით არ იცოდა. თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება განიხილავდა ფართი იჯარით აღებას, სანამ მოხდებოდა შენობის რეკონსტურცია, რომლის ხარჯებიც აუცილებლად იქნებოდა გაწერილი 2022 წლის ბიუჯეტში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა თავისი სპეციფიკა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მეცადინეობები ხორციელდებოდა ბაზებში. ექსპერტებმა შეისწავლეს პოლიტკოვსკაიაზე არსებული ფართი, სადაც წარმოდგენილი იყო 9 აუდიტორია, რომელთაგან 7 გამიზნული იყო თეორიული სწავლებისთვის, ხოლო 2 ლაბორატორიული. თეორიული და პრაქტიკული სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით იმდენად ოპტიმალურად იყო გადანაწილებული, რომ სრულად საკმარისი იყო არსებული ფართი 600 სტუდენტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:12 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:30 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიორინგთან დაკავშირებით

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ეკალაძე ეკა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით